ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს

„ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს“ 2025 წლის 26 მარტის

სხდომის ოქმი №1

ქ. ახალციხე 2025 წელი, 26 მარტი

სხდომას ესწრებოდნენ:

ირაკლი ლაზარაშვილი ახალციხის მუნიციპალიტეტის მერი

„ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს“ წევრები:

1. ბელა ავალიშვილი
2. ნუგზარ თათეშვილი
3. ნანა იოსელიანი
4. მაკა ბერიძე
5. ვასილ კვინცხაძე
6. შალვა ტაბატაძე
7. მერაბ ბერიძე
8. მაია გაჩეჩილაძე
9. რომან მაისურაძე
10. ნატალი სისვაძე
11. მეგი თათეშვილი
12. ციური ლაფაჩი
13. გიორგი კურტანიძე
14. რიმა სუდაძე
15. ქეთევანი თედორაძე
16. ნათია ზურაბაშვილი

სხდომას არ ესწრებოდნენ „ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს“ წევრები:

1. ცირა მესხიშვილი

2. თამარ კაპანაძე
3. ომარ ჯაყელი
4. გიორგი ბუცხრიკიძე
5. გურამი ჯინჭველაძე
6. ნიკოლოზ ხიზანაძე
7. ნათია ტაბლიაშვილი
8. ნუგზარ რუხაძე

დღის წესრიგი

1. ახალციხის მუნიციპალიტეტში მიმდინარე და დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტები;
2. ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის პროგრამები;
3. საბჭოს წევრების რეკომენდაციები და ინიციატივები;

ახალციხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში, „სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს“ მორიგი შეხვედრა გაიმართა, რომელსაც მერი ირაკლი ლაზარაშვილი უძღვებოდა. მან შეკრებილებს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ახალი წევრები, ახალგაზრდული შემადგენლობა წარუდგინა, მადლობა გადაუხადა მათ საბჭოს საქმიანობაში ჩართვის ინიციატივისათვის და წარმატებები უსურვა.

დღის წესრიგის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელმა საბჭოს წევრებს მიმდინარე და დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტები, სამომავლო გეგმები, ასევე მერიის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები, მათ შორის, ახალი სერვისის - „შინმოვლის“ პროგრამის დანერგვის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა, აქცენტი გაკეთდა არსებულ პრობლემებზე და მათი მოგვარების გზებზე.

საუბარი შეეხო მუნიციპალიტეტის მასშტაბით წყალმომარაგების კუთხით მიმდინარე და განხორციელებულ პროექტებს. მერის განცხადებით, ქალაქ ახალციხეში აქტიურად მიმდინარეობს მასშტაბური პროექტი წყალმომარაგების გაუმჯობესების მიზნით. ამ ეტაპზე უკვე მოწყობილია სატუმბი სადგურები, დაახლოებით სექტემბრის თვისთვის პრაქტიკულად დასრულდება სამუშაოები ქალაქში. უახლოეს ხანში დაიწყება სარეაბილიტაციო სამუშაოები ცენტრალურ უბანში, რის შემდეგაც დაიგეგმება შიდა გზების რეაბილიტაცია.

როგორც, ირაკლი ლაზარაშვილმა აღნიშნა, ინფრასტრუქტურის კუთხით არსებული საჭიროებების უზრუნველსაყოფად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის, სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტების დაფინანსებით ამ ეტაპზე **40-მდე ინფრასტრუქტურული პროექტია დაგეგმილი,** რომელთა საერთო ღირებულება **20 მილიონ** ლარს შეადგენს. მათ შორის, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხორციელდება **10 მასშტაბური პროექტი,** ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტიდან **29 პროექტი.**

<u>მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტებია:</u> სპორტსკოლის რეაბილიტაცია, კულტურის სახლის (კინო-კლუბის) მშენებლობა და ახალი სამუსიკო სკოლის მშენებლობა;

სპორტსკოლის სრული რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის ფარგლებში მოეწყობა 300 მაყურებელზე გათვლილი თანამედროვე სტანდარტების სპორტული ინფრასტრუქტურა, სადაც მეცადინეობებთან ერთად, შესაძლებელი იქნება ჩატარდეს ჩემპიონატები და შეჯიბრებები.

რუსთაველის ქ. №124-ში ყოფილი კინო-კლუბის ადგილზე აშენდება ახალი შენობა, სადაც პროექტის შესაბამისად მოეწყობა 250 მაყურებელზე გათვლილი დარბაზი, 50 კაციანი კინო-დარბაზი და მედიათეკა.

ასევე, ახალციხის სამუსიკო სკოლისათვის აშენდება ახალი შენობა, სადაც მოეწყობა საკონცერტო დარბაზი, საკლასო და სამასწავლებლო ოთახები და სხვა აუცილებელი სივრცეები.

<u>საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტები:</u> სოფელ ტყემლანაში გზის რეაბილიტაცია, ქალაქ ვალეში, ბარათაშვილის ქუჩაზე შიდა გზის რეაბილიტაცია, სოფელ წნისში შიდა გზების რეაბილიტაცია, სოფელ აწყურში შიდა გზის რეაბილიტაცია, სოფელ ხეოთში შიდა გზის რეაბილიტაცია;

საგზაო ინფრასტრუქტურული სამუშაოები რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან და ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება. შედეგად ადგილობრივი მცხოვრებლები კეთილმოწყობილი შიდა გზებით ისარგებლებენ.

<u>შენობების ფასადებისა და სადარბაზოების რეაბილიტაცია:</u> ქალაქის იერსახისა და მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით გრძელდება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ფასადებისა და სადარბაზოების რეაბილიტაცია.

ამ ეტაპზე, რეაბილიტაცია უტარდება ქალაქ ახალციხეში გოგებაშვილის ქუჩა N7-ში, ასევე, თამარაშვილის ქუჩა N57-სა და ადიგენის ქუჩა N20-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების გარე ფასადებს და სადარბაზოებს.

აგრეთვე, დაგეგმილია და სატენდერო პროცედურები მიმდინარეობს ქალაქ ახალციხეში ადიგენის ქუჩა N2-ში, მერაბ კოსტავას ქუჩა N119-ში, N126-ში, N127-ში და N137-ში არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ფასადების და სადარბაზოების სარეაბილიტაციო სამუშაოებზე. ინფრასტრუქტურული სამუშაოები რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან და ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება. მსგავსი სახის ინფრასტრუქტურული სამუშაოები ეტაპობრივად გაგრძელდება მომავალშიც.

<u>საბავშვო ბაღები:</u> ახალი საბავშვო ბაღები აშენდა სოფელ აგარასა და ქალაქ ახალციხეში; დასრულების ეტაპზეა სოფელ მუსხის საბავშვო ბაღის მშენებლობა; მიმდინარეობს ქალაქ ახალციხეში და სოფელ აწყურში ახალი საბავშვო ბაგა-ბაღების მშენებლობა; ასევე, დაგეგმილია ქალაქ ახალციხის №1 საბავშვო ბაგა-ბაღისა და სოფელ პამაჯის საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

სპორტული მოედნები: აქტიურად გრძელდება სპორტული ინფრასტრუქტურული პროექტები. მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტის მასშტაბით 7 სპორტული მოედანის რეაბილიტაცია დასრულდება. პროექტების ფარგლებში ეწყობა თანამედროვე სტანდარტების მქონე ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნები, შესაბამისი ინფრასტრუქტურით.

სპორტული მოედნები ეწყობა შემდეგ მისამართებზე: ქალაქ ახალციხეში, 9 აპრილის, კოსტავას, ასპინძის, ივერიელისა და ყაზბეგის ქუჩებზე, ქალაქი ვალეში და სოფელ მუგარეთში;

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელმა ისაუბრა სპორტული კომპლექსის მშენებლობის დასრულებასთან დაკავშირებითაც, აღნიშნა რომ უახლოეს ხანში სატესტო რეჟიმში დაიწყებს ფუნქციონირებას კომპლექსი, რომელიც იქნება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სპორტული ცენტრი რეგიონში, სადაც სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებების ჩატარება იქნება შესაძლებელი.

ირაკლი ლაზარაშვილმა სამომავლო გეგმებზეც გაამახვილა ყურადღება. მისი თქმით, არსებობს სანაპირო ზოლის განვითარების იდეა, თამარაშვილის ქუჩიდან ხელოვნური ტბის ტერიტორიამდე, რომელიც იქნება ერთგვარად მწვანე ზოლი, ველობილიკებითა და სხვა სახის ტურისტული ინფრასტრუქტურით. პროექტში, ასევე გათვალისწინებული იქნება ცენტრალური სტადიონისა და მიმდებარე ტერიტორიის მოწესრიგებაც.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური მომსახურება: ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია, მოსახლეობის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით 27 სახის ქვეპროგრამას ახორციელებს. მათ შორის, მუხლობრივად ჯანმრთელობის დაცვისთვის 7, ხოლო სხვადასხვა სახის სოციალური დახმარებისთვის 20 მუხლია გათვალისწინებული.

აღსანიშნავია, რომ 2025 წლის სოციალური ბიუჯეტი თითქმის 2 მილიონამდე ლარს შეადგენს. მიმდინარე წლის იანვარი-მარტის თვეებში „ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის“ ფარგლებში, 1120-მა ბენეფიციარმა ისარგებლა, რისთვისაც აღნიშნულ პერიოდში 419 461 ლარი გაიხარჯა.

ბენეფიციართა ნაწილისთვის დახმარების გაწევა მერიის სარეზერვო ფონდიდანაც ხდება, იმ შემთხვევაში თუ ისინი ზემოთაღნიშნული წესით გათვალისწინებულ პირობებს ვერ აკმაყოფილებენ.

როგორც ირაკლი ლაზარაშვილმა აღნიშნა, ახლახანს მუნიციპალიტეტში მოქმედ პროგრამებს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სერვისი „შინმოვლის“ პროგრამა დაემატა, რომელიც საწყის ეტაპზე საპილოტე რეჟიმში იმუშავებს.

აღნიშნულ სერვისთან დაკავშირებით, ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიასა და ა(ა)იპ ,,საქველმოქმედო ფონდ საქართველოს კარიტასს'' შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმის ფარგლებში, ა(ა)იპ „საქველმოქმედო ფონდ საქართველოს კარიტასისთვის“ ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან სრულად დაფინანსდება ბენეფიციარებისათვის მედიკამენტებისა და მოვლის საშუალებების შეძენა.

შეხვედრაზე საბჭოს წევრებმა გამოთქვეს მოსაზრებები და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელს თავიანთი წინადადებებით მიმართეს.

მაია გაჩეჩილაძემ დადებითად შეაფასა შინმოვლის პროგრამა, აღნიშნა რომ მნიშვნელოვანია ბენეფიციარებს შესაძლებლობა ჰქონდეთ ისარგებლონ აღნიშნული სერვისით.

მაკა ბერიძემ სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტსა და ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიას შორის ჩამოყალიბებულ ნაყოფიერ თანამშრომლობაზე გაამახვილა ყურადღება და მერს მადლობა გადაუხადა იმ მხარდაჭერისათვის, რასაც მუნიციპალიტეტი იჩენს უნივერსიტეტის ანსამბლისა თუ ზოგადად სტუდენტებისადმი. მან ასევე, მომავალშიც ერთობლივი საინტერესო იდეების განხორციელების იმედი გამოთქვა, მათ შორის სტუდენტური ოჯახების ხელშეწყობის, მოტივაციისა და წახალისების მიზნით.

ნანა იოსელიანმა, დადებითად შეაფასა სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოსადმი ახალგაზრდების დაინტერესება და მათი ჩართულობა პოზიტიურად შეაფასა. მისი თქმით, საჭირო და მნიშვნელოვანია ბევრი ახალგაზრდული პროექტის განხორციელება, ახალგაზრდებთან მუდმივი მუშაობა, სპორტის სხვადასხვა სახეობების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია. მერმა ახალციხის სპორტულ გაერთიანებაში მოქმედი სპორტულ წრეებისა და სახელოვნებო დაწესებულების მოსწავლეთა წარმატებებზე გაამახვილა ყურადღება, აღნიშნა, რომ ახალციხელი მოსწავლეები სხვადასხვა შეჯიბრებებსა თუ ფესტივალებში ყოველთვის წარმატებით მონაწილეობენ და საპრიზო ადგილებს იკავებენ.


ვასილ კვინცხაძემ მადლობა გადაუხადა მერს მუნიციპალიტეტში კულტურის სფეროს ხელშეწყობისთვის, ასევე ქორეოგრაფიული და ფოლკლორული ანსამბლების მხარდაჭერისათვის.

მერაბ ბერიძემ ისაუბრა ქალაქში დასუფთავების ღონისძიებებზე და პოზიტიურად შეაფასა ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტის მიერ სპეც ტექნიკის შეძენა. ასევე, მუნიციპალიტეტის მასშტაბით ისაუბრა სასმელი წყლის უსაფრთხოების მაქსიმალური კონტროლისა და ქალაქში ალტერნატიული გზების მოწყობის აუცილებლობაზე, დაინტერესდა მუნიციპალიტეტის გეგმებით ორბელიანების სასახლის აღდგენასთან დაკავშირებით, ასევე ხაზი გაუსვა სტუდენტური საერთო საცხოვრებლის მშენებლობის საჭიროებას, მისი თქმით უკვე მრავალი წელია ქალაქ ახალციხეში ფუნქციონირებს მესხეთის უნივერსიტეტი და სტუდენტებისთვის აღნიშნული პრობლემის მოგვარება უმნიშვნელოვანესია.

შალვა ტაბატაძემ ისაუბრა მესხეთის თეატრის კაპიტალურ რეაბილიტაციაზე, რომელიც თითქმის დასრულებულია და ქალაქში უმნიშვნელოვანეს კულტურულ ცენტრს წარმოადგენს, ასევე გაამახვილა ყურადღება ქალაქში ქართული და უცხოენოვანი წარწერების დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის დაცვაზე. ისაუბრა ქალაქში მიუსაფარი ცხოველების პრობლემაზე.


ბელა ავალიშვილმა ქალაქში ალტერნატიული გზების საჭიროებაზე და დაზიანებულ საგზაო ინფრასტრუქტურაზე გაამახვილა ყურადღება. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელმა ამ მიმართულებით დაგეგმილ სამუშაოებზე ისაუბრა, აღნიშნა რომ ამ ეტაპზე დაზიანებული მონაკვეთების ნაწილობრივი, ე.წ. ორმული შეკეთება უკვე მიმდინარეობს, ხოლო მას შემდეგ, რაც გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია ქალაქში წყალმომარაგების გაუმჯობესების მიზნით მიმდინარე მასშტაბურ პროექტს დაასრულებს, დაიგეგმება სამუშაოები ქალაქში შიდა გზების კაპიტალური რეაბილიტაციის მიზნით.

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის „სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს“ წევრები:

1 ბელა ავალიშვილი 


2 ცირა მესხიშვილი

3 ნუგზარ თათეშვილი 


4 ნანა იოსელიანი 


5 თამარ კაპანაძე

6 ომარ ჯაყელი

7 მაკა ბერიძე 


8 ვასილ კვინცხაძე 

9 შალვა ტაბატაძე 

10 მერაბ ბერიძე 

11 გიორგი ბუცხრიკიძე

12 გურამი ჯინჭველაძე

13 მაია გაჩეჩილაძე 

14 ნიკოლოზ ხიზანაძე

15 რომან მაისურაძე 

16 ნათია ტაბლიაშვილი

17 ნატალი სისვაძე

18 მეგი თათეშვილი

19 ციური ლაფაჩი

20 ნუგზარ რუხაძე

21 გიორგი კურტანიძე

22 რიმა სუდაძე

23 ქეთევანი თედორაძე

24 ნათია ზურაბაშვილი